# გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

# 2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

# შუახევის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

   თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის.

2. **თემატიკა:**

   ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის გაუმჯობესება ადგილობრივ დონეზე.

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
   შუახევის მუნიციპალიტეტის მერია

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

შუახევის მუნიციპალიტეტი — თვითმმართველი ერთეული საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში. შეიქმნა 1952 წელს ხულოს რაიონიდან გამოყოფილი ტერიტორიის ხარჯზე, 1963-1964 წწ. ისევ ხულოს რაიონშია, 1965 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია, ამჟამად მუნიციპალიტეტი.

მუნიციპალიტეტის საზღვრების საერთო სიგრძე დაახლოებით 195 კილომეტრია. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (6,3 კმ) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (2,5 კმ), სამხრეთით თურქეთი (46 კმ), აღმოსავლეთით ხულოს მუნიციპალიტეტი (78 კმ), დასავლეთით ქედის მუნიციპალიტეტი (31,5 კმ) და ქობულეთის მუნიციპალიტეტი (29,5 კმ).

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა შუახევი (1,0 ათასი მცხოვრები, დაბის სტატუსი 1974 წლიდან). შუახევის მუნიციპალიტეტში 68 დასახლებული პუნქტია: 1 დაბა და 67 სოფელი. მუნიციპალიტეტი იყოფა 10 ტერიტორიულ ერთეულად: 1 დაბა და 9 თემი.

შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი საშუალო სიმაღლის მთებს უჭირავს. მაღალი მთებია: ხევა (2812 მ) შავშეთის ქედზე, თაგინური ( 2662 მ) მესხეთის ქედზე. რელიეფი დანაწევრებულია მდინარე აჭარისწყლისა და მისი შენაკადების ეროზიული ხეობებით.

ფერდობზე სხვადასხვა ასაკის ტერასების ფრაგმენტებია. აგებულია შუა უცნაური ანდეზიტებითა და ჰიდროკლასტოლითებით, ვულკანოგენური ფაციესის, შრეებრივი ტუფ-ბრექჩიებით, ტუფ-ქვიშაქვებითა და არგილიტებით. არის შუა და ზედაეოცენური, სიენიტ-დიორიტები.

შუახევის მუნიციპალიტეტი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, როგორიცაა გოგირდის, კოილჩედანის, ალუნიტის, გაბროს, სანალიის, ანდეზით-ტაციტისა და ბრილის სააგურე თიხის საბადოებით.

ეკონომიკის მთავარი დარგი სოფლის მეურნეობაა, დაბალ ზონაში წამყვანია მემცენარეობა, ხოლო მაღალ ზონაში - მეცხოველეობა. ასევე მიჰყვებიან მეფუტკრეობასაც. ფართოდაა გავრცელებული მუნიციპალიტეტში გავრცელებული სხვადასხვა სახის ნიადაგი ხელს უწყობს მაღალხარისხოვანი ,,სამსუნისა" და ,,ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქოს მოყვანა. კარგ მოსავალს იძლევა ხილი, ლობიო, ბოსტნეული და სხვა ჯიშის მცენარეები.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
  პროგრამის განხორციელება, რომელიც გულისხმობს თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურებას მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის საჭიროებს ადამიანურ რესურსს, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელების კუთხით, რაც ჯაჭვურ კავშირშია მერიის ფინანსურ რესურსებთან, რისთვისაც მაქსიმალურად ვცდილობთ ოპტიმალური ვარიანტების შემუშავებას, რომელიც მოსახლეობის საჭიროებაზე იქნება და ამასთანავე მაქსიმალურად ეკონომიკურად მიზანშეწოლილი და გამართლებული.
  **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

  გამომდინარე იქედან, რომ შუახევის არის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტი, არის რიგი პრობლემები, რომელიც ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებით არის განპირობებული. მოსახლეობის დიდ ნაწილს აქვს შეზღუდული წვდომა სოციალურ სერვისებზე, რადგან მუნიციპალიტეტში არ არის მუნიციპალური ტრანსპორტი და ადამიანებს უჭირდ სამედიცინო მომსახურების მიღება. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ადგილობრივი, ამბოლატორიული სერვისის არსებობა, რომელიც მათ დროის და ფინანსური დანაზოგის საშუალებას აძლევთ. განსაკუთრებით მობილური გუნდის არსებობა ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებისთვის არის აუცილებელი, რადგან მათ სრულფასოვნად შეძლონ მკურნალობა, რომელიც გამოჯანმრთელების აუცილებელი პირობაა.

## 6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

### გამოწვევა: არასათანადოდ განვითარებული ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემა ადგილობრივ დონეზე

აჭარის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შუახევის მუნიციპალიტეტიდან ამბულატორიულ აღრიცხვაზეა 802 პაციენტი, აქედან წლის განმავლობაში აქტიურად და რეგულარულად ამბულატორიას მიმართავს თვის განმავლობაში 200-მდე პაციენტი, რაც ძალიან მცირეა და ამის ძირითადი მიზეზი არასათანადოდ განვითარებული ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემაა, რომელშიც არ არის გათვალისწინებული მომსახურების უწყვეტობისა და საფეხურებრივი ზრუნვის პრინციპები. საფეხურებრივი და უწყვეტი მომსახურების განხორციელება სათემო სერვისების განვითარების გარეშე შეუძლებელია, სწორედ ამიტომაცაა მნიშვნელოვანი მობილური გუნდის მომსახურება ამბულატორიულ სერვისში. მობილური გუნდი ემსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, რომლებიც ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, ხოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს.

### წარსული გამოცდილება

მოსახლეობა ყოველთვის გამოთქვამდა უკმაყოფილებას რომ მათ არ ქონდათ საშუალება ადგილზე მიეღოთ პირველადი სამედიცინო მომსახურება. მოსახლეობასთან შეხვედრების დროს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფად ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანები გამოიკვეთა, რომლებიც ვერ ახერხებდნენ სატანადო მკურნალობას და სჭირდებოდათ ადგილობრივი თვითმმართველობისგან დახმარება. მუნიციპალიტეტი მსგავს ადამიანებს ერთჯერადი ფინანსური დახმარებით ეხმარებოდა მათი განცხადების საფუძველზე, თუმცა ეს რა თქმა უნდა არ იყო საკმარისი და დღის წესრიგში დადგა ისეთი პროგრამის შემუშავება, რომელიც ორგანიზებული და მიზნობრივი ხასიათი ექნებოდა და რაც მთავარია, ორიენტირებული იქნებოდა მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილებაზე, ვისაც მსგავსი პრობლემა ჰქონდა.

აღნიშნული პროგრამის შემუშავების პროცესში ჩავრთეთ დარგის სპეციალისტები, მათთან ერთად გავიარეთ ყველა ნიუანსი და ის მოლოდინები, რაც გვქონდა და საბოლოოს შევიმუშავეთ პროგრამა, რომელიც ბოლო წლებია წარმატებით ხორციელდება.

### პასუხი არსებულ გამოწვევაზე

2013 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ფსიქიკური ჯანდაცვის კონცეფციის დოკუმენტში, ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემის განვითარების ძირითადი პრინციპებია განსაზღვრული, რაც მოიცავს: დაბალანსებულ ზრუნვას, მომსახურების ინტეგრაციას, უწყვეტობასა და თანმიმდევრულობას. თანამედროვე ფსიქიატრიული მომსახურება ეს არის დაბალანსებული მომსახურება თემზე და ჰოსპიტალურ მომსახურებაზე დაფუძნებულ ზრუნვას

შორის. გარდა ფსიქიკური ჯანმრთელობისა ეს პროექტი უმსუბუქებს პაციენტს და მათ ოჯახებს სოციალურ მდგომარეობას, როგორც ფინანსური დანახარჯების, ასევე დროის ეკონომიითაც. ფსიქიური პრობლემის მქონე ადამიანი რაიონიდან ამბულატორიაში ვიზიტისთვის განსაკუთრებით ის კატეგორია პაციენტების ვინც შეირჩევა მგ-ს მიერ, საჭიროებს თანმხლებ პირს, რაც ოჯახისთვის ორმაგი დანახარჯია. მობილური გუნდის სერვისი არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ჯანმრთელობისთვის მომსახურების პროგრამა, პარალელურად მას სოციალური პროგრამის დატვირთვაც ეძლევა.

2021 წელს აღნიშნული პროგრამით 55 ბენეფიციარმა ისარგებლა. კოვიდ პანდემიით გამოწვეული სტრესული სიტუაციისა და შეზღუდვების ფონზე უფრო მეტად აქტუალური გახდა აღნიშნული პროგრამის არსებობა, მოსახლეობის დაინტერესება და აღნიშნული სერვისის სარგებლობა, რამაც ასევე ხელი შეუწყო თვითმმართველობის მიმართ ნდობის გაღრმავებას.

## 7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

- **პროექტის შინაარსი:**

**პროექტი გულისხმობს მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის საჭირო ღონისძიებების ჩატარებას,** რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 85 200 ლარით ფინანსდება.

- **აქტივობათაგეგმა/გრაფიკი**
  პროექტის განხორციელება ხდება თვეში ერხელ თემის ამბულატორიულ ცენტრებში.
- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი**
  **მუნიციპალიტეტი გადასულია პროგრამულ ბიუჯეტზე, შესაბამისად მტკიცდება ადგილობრივი ბიუჯეტით, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.**
- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ;**
  *<u>შ.პ.ს ბათუმის სამედიცინო ცენტრი. აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.</u>*
- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, შპს. ბათუმის სამედიცინო ცენტრი.
- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

*აღწერილია პროექტის შინაარსში.*

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე; აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**
- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

*თანამშრომლობა მოსახლეობასთან- ძალიან მნიშვნელოვანი იყო აქტიური კომუნიკაცია მოსახლეობასთან ამ სერვისზე ნდობის მოპოვებასთან დაკავშირებით, ბენეფიციარებთან და რიგ შემთხვევაში ბენეფიციარების ოჯახებთან შეხვედრა და საუბარი.*

*თემის სამედიცინო პუნქტებისა და ამბულატორიის პერსონალის აქტიური ჩართულობა.*

## 8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ჩატარებული დროული და საჭირო ღონისძიებები.

შემცირებული სტაციონირების სიხშირე. *შემცირებული ფსიქოპათოლოგიური მდგომარეობის გამწვავების სიხშირე. საოჯახო ფსიქო განათლების მიღება. უწყვეტი სამედიცინო მკურნალობა. გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა. სოციუმში აქტივიზაცია.*

## 9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

*1. სწორი ანალიზის გაკეთება*

*2. ადგილობრივი ხელისუფლებისა და შპს. ბათუმის სამედიცინო ცენტრის თანამშრომლობა*

*3. შემცირებული სტაციონარული მიმართვიანობა*

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები**
- პროგრამის სწორად დაგეგმვა ;
- შესაბამისი უწყების აქტიური ჩართულობა;
- ზედამხედველობის მექანიზმის შექმნა.

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):

ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება; გაიზარდა მოსარგებლე პირთა რაოდენობა

ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში ასახული ცვლილება;

გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი.

გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;

ამბულატორიის ექიმების და თსპ-ს ექთნების აქტიური ჩართულობით არსებული პრგრამით დაინტერესება და განხორციელება.

**დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;**

*დიახ.*

**10. საკრებულოს როლი:**

**შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ამავდროულად არიან ამა თუ იმ თემის წარმომადგენლები. დიდი მათი როლი ამ პროგრამის გავრცელებასა და მის განხორციელების აუცილებლობაში.**

**11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

**როგორც უკვე ავღნიშნეთ ამ პროგრამით სარგებლობს 55 ბენეფიციარი. სამომავლოდ იგეგმება ამ პროგრამის გაზრდა და**

**12. საკონტაქტო ინფორმაცია:**

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:**
  **დინარა გელაძე - შუახევის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახური. 591446443**
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.
  **ეკა ზოიძე** *შპს. ბათუმის სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელი 5555767272*
  **რუსუდან შავაძე- მერის მოადგილე 577202254**

**13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია. სია კონფიდენციალურია.**

*14.* **მუნიციპალიტეტი გადასულია პროგრამულ ბიუჯეტზე, შესაბამისად მტკიცდება ადგილობრივი ბიუჯეტით, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.**